დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბაცანკალაშვილი, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

იოსები ლაზარაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;

ვლადიმერ ბერუაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ფიქრია მუსერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ანანო შანავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნინო ჯახველაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ხათუნა გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	206031676

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 131
საფოსტო ინდექსი	0144
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/113?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi85@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2749215

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 3 ივნისის MES 5 24 0000612834 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	1 და 2 ივლისი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი საფეხური**	**ქართული ენა**	**ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 131; ერთი შენობა-ნაგებობა.**
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი**

				N 131; ერთი შენობა-ნაგებობა.
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 131; ერთი შენობა-ნაგებობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლაში ვიზიტი 2024 წლის 1 და 2 ივლისს განხორციელდა. ვიზიტამდე დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების კითხვარზე დართული დოკუმენტაცია; ასევე, გამოგზავნა ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დამატებითი მტკიცებულებები შესაბამის ვადებში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა ინფორმაცია დაწესებულების შესახებ და მოვმზადებულიყავით უშუალო ვიზიტისათვის.

ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თანამშრომლობის მაღალი კულტურა. შეფასება განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. ჩატარადა გასაუბრებები საგნობრივ ექსპერტებსა და კათედრების წარმომადგენლებს შორის. დაწესებულების ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა დროულად წარმოადგინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია.

საგნობრივმა ექსპერტებმა ჯგუფის თავმჯდომარესა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთან შეთანხმებულ ვადებში წარმოადგინეს შეფასების ფორმები. გაზიარების თვალსაზრისით, არჩეულ იქნა Google Drive-ის საქაღალდე, რომელზეც წვდომა ჰქონდა ჯგუფის ყველა წევრს და შეეძლო, გასცნობოდა კოლეგების ნამუშევარს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზიაში აქტიურად იყო ჩართული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი. პროცესში გათვალისწინებულ იქნა ჯგუფის წევრების გამოცდილება და უკუკავშირი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლას აქვს ახლად რეაბილიტირებული შენობა, რომელშიც შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, როგორც ფიზიკური, ისე სოციო-კულტურული თვალსაზრისით.

სკოლაში შესვლისთანავე თვალში საცემია ერთ გუნდად შეკრული, სკოლის საქმისადმი თავდადებული პერსონალი, რომელიც მოტივირებულია წვლილი შეიტანოს სკოლის წინსვლასა და განვითარებაში.

სკოლას აქვს დიდი, კეთილმოწყობილი ეზო, რომელშიც განთავსებულია ორი შემოსაზღვრული სპორტული მოედანი; დაწესებულებას ასევე აქვს შიდა სპორტული დარბაზი. სკოლში წახალისებულია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და აქტივობა.

სკოლის ფიზიკური გარემო შეესაბამება სკოლის ინკლუზიური განათლების პოლიტიკას, რომელიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის იდენტიფიცირებული დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში. დაწესებულება ადაპტირებულია, დამონტაჟებულია ლიფტი, არის რესურს ოთახი და დასაქმებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინკლუზიური განათლების პერსონალი (ორი ფსიქოლოგი, 3 უფროსი სპეც. მასწავლებელი და 8 ასისტენტი).

სკოლაში განხორციელებული პროგრამები, პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მისიასა და ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევას; აღსანიშნავია, სკოლის მუდმივი სწრაფვა ახალი, ნოვატორული იდეების გენერირებასა და განხორციელებაში (მშობელთა კომპიუტერული კუთხე, მოსწავლეთა კინო-თეატრის მოწყობა).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:
1700</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება

☐</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება

☒</td><td>ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურისა და საკლასო ოთახების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 1600 მოსწავლით, ორცვლიანი სწავლების პირობებში.</td></tr>
</table>

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შეესაბამება;
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შეესაბამება;
ზოგადი განათლების საშუალოა საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი *N 3.1.2.4*	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;*	*დასწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კვალიფიციური პედაგოგების (დაწყებითი საფეხური: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ტექნოლოგიები) და ექიმის დასაქმება, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების მიხედვით (12.07.2025).*
ინდიკატორი *N 3.4.1.1*	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის*	*დასწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების მიხედვით (15.04.2025).*

	განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	*დასწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ლაბორატორიაში დაამონტაჟოს სველი წერტილი, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების მიხედვით (05.07.2025).*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*ტექნოლოგიები* *სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის აყვანა ტექნოლოგიების მასწავლებლად (01.08.2025).* *ესთეტიკური აღზრდა*

		სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის აყვანა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად (01.08.2025).

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი *N 3.4.1.1*	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმ სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო ც სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ*	*სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.*

	წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიე ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების დაცვას;*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა, განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი – დაწყებითი საფეხური**	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.1.1.	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ავების პრინციპები და მეთოდიკური ორიენტირები, რომლებიც ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების შესაძლებლობებს. ასევე, ჩანს მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის, გამოკვეთილია ფუნქციები და პასუხისმგებელი პირები კურიკულუმის განვითარების პროცესში. თუმცა, **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით,*

		როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.1.1.2.	*კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც მეთოდოლოგიის მიხედვით ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, კათედრების სხდომის ოქმები, მშობელთან ურთიერთობის დებულება, მშობლებისთვის სკოლის ფოეში მოწყობილია კუთხე კომპიუტერებით. ზემოაღნიშნულის საფუძველზეც იკვეთება სასკოლო საზოგადოების წევრების კომუნიკაცია სკოლასთან და მათი ინტერესების გათვალისწინება. რაც მთავარია, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოვია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.*
ინდიკატორი N2.1.1.3.	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა***

		*სკოლას აქვს წარმოდგენილი კათედრების სხდომის ოქმები, რომლშიც ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება მთელი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.*
ინდიკატორი N2.1.1.4.	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *როგორც უკვე ითქვა სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობის საკითხი, განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, მათი ფუნქციები და როლი, აღწერილია საკომუნიკაციო არხები. სკოლის ფოეში მშობლებისთვის მოწყობილია კუთხე კომპიუტერებით, სკოლას დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც აღწერილია მშობელთან პირისპირ და ონლაინ კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები. თუმცა, **სასურველია** კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.*

ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია დაკონკრეტდეს ჩვენი საქართველოს კურიკულუმში ასახული კონტექსტ-მაგალითები. კერძოდ, კონტექსტ-მაგალითები შეიძლება წარმოადგენდეს კერძო შემთხვევას, სიტუაციას, ამბავს.* *სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები).* ***ესთეტიკური აღზრდა*** *საგნობრივი კურიკულუმები, უმეტეს შემთხვევაში შეიცავენ ყველა აუცილებელ კომპონენტს, თუმცა, **სასურველია** პედაგოგებმა გაითვალისწინონ, რომ ხელოვნების მესამე და მეოთხე კლასების კურიკულუმებში ყველა თემასთან უნდა იყოს მითითებული, თუ რა სამიზნე ცნებებზე ხდება გასვლა თემაზე მუშაობის დროს.* ***სპორტი*** *ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში **სასურველია**, დაემატოს თემა: „მოძრავი თამაშები“ იმ სპორტის სახეობის ელემენტებით, რომლის რესურსიც (ინვენტარი) გააჩნია სკოლას.* *კურიკულუმში შეტანილი თემები სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჰიგიენა, სწორი (ჯანსაღი) კვება, ფიზიკური აქტივობა, დღის რეჟიმი, მავნე ჩვევები, უსაფრთხოება.) **სასურველია** გადანაწილდეს კლასების მიხედვით და არ მეორდებოდეს.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები***

		სასურველია დაკონკრეტდეს ჩვენი საქართველოს კურიკულუმში ასახული კონტექსტ-მაგალითები. კერძოდ, კონტექსტ-მაგალითები შეიძლება წარმოადგენდეს კერძო შემთხვევას, სიტუაციას, ამბავს. *სასურველია თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში დაიგეგმოს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (ჩვენი საქართველო მე-5, მე-6 კლასები).* ***სპორტი*** *ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში **სასურველია**, დაემატოს თემა: „მოძრავი თამაშები“ იმ სპორტის სახეობის ელემენტებით, რომლის რესურსიც (ინვენტარი) გააჩნია სკოლას.* *კურიკულუმში შეტანილი თემები სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჰიგიენა, სწორი (ჯანსაღი) კვება, ფიზიკური აქტივობა, დღის რეჟიმი, მავნე ჩვევები, უსაფრთხოება.) **სასურველია** გადანაწილდეს კლასების მიხედვით და არ მეორდებოდეს.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმში დაკონკრეტდეს ყველა ინტერნეტ რესურსი.*
ინდიკატორი N2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.*

ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია შეფასების რუბრიკები ჩვენი საქართველოს მიმართულებით დაეფუძნოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებსა და სამიზნე ცნებებს*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, თუ თითოეული კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმში მიეთითება ყველა სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა სავანმანათლებლო პროცესში*
ინდიკატორი N2.3.1.3	*მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა **სასურველია** სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.*

ინდიკატორი N2.3.2.1	*შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში დეტალურად არაა გაწერილი, რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება ან როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.* ***სასურველია*** *მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით.*
ინდიკატორი N2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადამრიგებლო პროგრამები და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება.* ***სასურველია*** *მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.*
ინდიკატორი N2.3.2.3	*შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** ***სასურველია*** *მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება და სხვ. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების*

		ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი – საბაზო საფეხური**	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.1.1.	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ავების პრინციპები და მეთოდიკური ორიენტირები, რომლებიც ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების შესაძლებლობებს. ასევე, ჩანს მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის, გამოკვეთილია ფუნქციები და პასუხისმგებელი პირები კურიკულუმის განვითარების პროცესში. თუმცა, **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N2.1.1.2.	*კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც მეთოდოლოგიის მიხედვით ასახულია სასკოლო*

		*საზოგადოების ინტერესები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, კათედრების სხდომის ოქმები, მშობელთან ურთიერთობის დებულება, მშობლებისთვის სკოლის ფოეში მოწყობილია კუთხე კომპიუტერებით. ზემოაღნიშნულის საფუძველზეც იკვეთება სასკოლო საზოგადოების წევრების კომუნიკაცია სკოლასთან და მათი ინტერესების გათვალისწინება. რაც მთავარია, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.*
ინდიკატორი N2.1.1.3.	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს წარმოდგენილი კათედრების სხდომის ოქმები, რომლშიც ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება მთელი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.*
ინდიკატორი N2.1.1.4.	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა***

		*როგორც უკვე ითქვა სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობის საკითხი, განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, მათი ფუნქციები და როლი, აღწერილია საკომუნიკაციო არხები. სკოლის ფოეში მშობლებისთვის მოწყობილია კუთხე კომპიუტერებით, სკოლას დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც აღწერილია მშობელთან პირისპირ და ონლაინ კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები. თუმცა, **სასურველია** კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *ისტორიის კურიკულუმში ზოგიერთი კონტექსტ-მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა მექანიკურად მოცემულია სასწავლო თემისა და საკითხის შეუსაბამოდ და **სასურველია** გადატანა შესაბამის თემასა და საკითხთან - მე-7, მე-8, მე-9 კლასები. (მაგ. მე-9 კლასში, თემაში „საქართველო და თანამედროვე მსოფლიო“ მოცემული კონტექსტ მაგალითი „რატომ ვერ გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი“, მისი შესაბამისი შედარების მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა „ინგლისელი ჟურნალისტის მოგზაურობა საქართველოში და სტატიის მომზადება ერთა ლიგისთვის“ შეესაბამება თემას „საქართველო და გარესამყარო მსოფლიო ომებსა და ცივი ომის პერიოდში“.* ***ესთეტიკური აღზრდა***

		ესთეტიკის კათედრის ორივე საგნის კურიკულუმის უმრავლესობაში წარმოდგენილია შუალედური მიზნები. გამონაკლისია ხელოვნების მე-7 და მე-9 კლასები, სადაც კურიკულუმში არ ჩანს, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტით ხდება შუალედური მიზნის მიღწევა. ***სასურველია*** *ყველა კლასის კურიკულუმში ეს კომპონენტი მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი.* ***სპორტი*** *სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილ თემაში ტანვარჯიში, საკითხები გაიწეროს მოსწავლეების ასაკის და ფიზიკური კონდიციების შესაბამისად.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *ისტორიის კურიკულუმში ზოგიერთი კონტექსტ-მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა მექანიკურად მოცემულია სასწავლო თემისა და საკითხის შეუსაბამოდ და* ***სასურველია*** *გადატანა შესაბამის თემასა და საკითხთან - მე-7, მე-8, მე-9 კლასები. (მაგ. მე-9 კლასში, თემაში „საქართველო და თანამედროვე მსოფლიო“ მოცემული კონტექსტ მაგალითი „რატომ ვერ გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი“, მისი შესაბამისი შედარების მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა „ინგლისელი ჟურნალისტის მოგზაურობა საქართველოში და სტატიის მომზადება ერთა ლიგისთვის“ შეესაბამება თემას „საქართველო და გარესამყარო მსოფლიო ომებსა და ცივი ომის პერიოდში“.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *ესთეტიკის კათედრის ორივე საგნის კურიკულუმის უმრავლესობაში წარმოდგენილია შუალედური მიზნები. გამონაკლისია ხელოვნების მე-7 და მე-9 კლასები, სადაც კურიკულუმში არ ჩანს, თუ რა შემოქმედებითი*

		პროდუქტით ხდება შუალედური მიზნის მიღწევა. ***სასურველია*** *ყველა კლასის კურიკულუმში ეს კომპონენტი მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი.* ***სპორტი*** *სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილ თემაში ტანვარჯიში, საკითხები გაიწეროს მოსწავლეების ასაკის და ფიზიკური კონდიციების შესაბამისად.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში დაკონკრეტდეს ყველა ინტერნეტ რესურსი*
ინდიკატორი N2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***ესთეტიკური აღზრდა*** *კათედრამ ორივე საგანში წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა მუსიკის შეფასებებში სასურველია უფრო მკაფიოდ ჩანდეს როგორ გაიაზრა მოსწავლემ ცალკეული ცნებების როლი განწყობის ან მხატვრული შინაარსის გადმოცემაში.*

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებსა და სამიზნე ცნებებს* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია ისტორიისთვის მოცემულ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტდეს სავალდებულო თემის ფარგლებში შესასწავლ საკითხებთან მიმართებით.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, თუ თითოეული კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმში მიეთითება ყველა სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა სავანმანათლებლო პროცესში*
ინდიკატორი N2.3.1.3	*მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა **სასურველია** სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.*
ინდიკატორი N2.3.2.1	*შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა***

		სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში დეტალურად არაა გაწერილი, რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება ან როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით. ***სასურველია*** *მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით.*
ინდიკატორი N2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადამრიგებლო პროგრამები და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება.* ***სასურველია*** *მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.*
ინდიკატორი N2.3.2.3	*შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** ***სასურველია*** *მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება და სხვ. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების*

		ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი – საშუალო საფეხური**	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.1.1.	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების აგების პრინციპები და მეთოდიკური ორიენტირები, რომლებიც ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების შესაძლებლობებს. ასევე, ჩანს მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის, გამოკვეთილია ფუნქციები და პასუხისმგებელი პირები კურიკულუმის განვითარების პროცესში. თუმცა, **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N2.1.1.2.	*კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც მეთოდოლოგიის მიხედვით ასახულია სასკოლო*

		*საზოგადოების ინტერესები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, კათედრების სხდომის ოქმები, მშობელთან ურთიერთობის დებულება, მშობლებისთვის სკოლის ფოეში მოწყობილია კუთხე კომპიუტერებით. ზემოაღნიშნულის საფუძველზეც იკვეთება სასკოლო საზოგადოების წევრების კომუნიკაცია სკოლასთან და მათი ინტერესების გათვალისწინება. რაც მთავარია, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.*
ინდიკატორი N2.1.1.3.	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს წარმოდგენილი კათედრების სხდომის ოქმები, რომლშიც ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა **სასურველია**, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება მთელი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.*

ინდიკატორი N2.1.1.4.	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *როგორც უკვე ითქვა სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობის საკითხი, განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, მათი ფუნქციები და როლი, აღწერილია საკომუნიკაციო არხები. სკოლის ფოეში მშობლებისთვის მოწყობილია კუთხე კომპიუტერებით, სკოლას დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც აღწერილია მშობელთან პირისპირ და ონლაინ კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები. თუმცა, **სასურველია** კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *ისტორიის საგნობრივი კურიკულუმებში, იქ სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება **სასურველია** აისახოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და შედარების მაგალითები, რასაც დაეფუძნება კომპლექსური დავალებით განსაზღვრული საკითხის შესწავლა (მე-10, მე-11 კლასები)* *მე-12 კლასი: ისტორიის საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც განსაზღვრული იყო 2023-2024 სასწავლო წლისათვის ხმარებაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით, **სასურველია** გადამუშავდეს ისტორიის საგნობრივ სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების*

		შესაბამისად და გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში მე-12 კლასისთვის შეიქმნას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმი. ***სასურველია*** *ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმით დაგეგმილი ყველა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა, მაგ. რის შესახებ უნდა შექმნას მოსწავლემ ისტორიული სტატია.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *ისტორიის საგნობრივი კურიკულუმებში, იქ სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება* ***სასურველია*** *აისახოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და შედარების მაგალითები, რასაც დაეფუძნება კომპლექსური დავალებით განსაზღვრული საკითხის შესწავლა (მე-10, მე-11 კლასები)* *მე-12 კლასი: ისტორიის საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც განსაზღვრული იყო 2023-2024 სასწავლო წლისათვის ხმარებაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით,* ***სასურველია*** *გადამუშავდეს ისტორიის საგნობრივ სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების შესაბამისად და გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში მე-12 კლასისთვის შეიქმნას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმი.* ***სასურველია*** *ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმით დაგეგმილი ყველა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის იდეა, მაგ. რის შესახებ უნდა შექმნას მოსწავლემ ისტორიული სტატია.* ***სპორტი*** *სასურველია საგნობრივ კურიკულუმში თემების შესწავლისთვის განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი ჯამი თანხვედრაში მოვიდეს აღნიშნული კლასის წლიურ საათობრივ ბადესთან. (შემცირდეს თემების რაოდენობა).*

ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში დაკონკრეტდეს ყველა ინტერნეტ რესურსი*
ინდიკატორი N2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია ისტორიისთვის მოცემულ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტდეს სავალდებულო თემის ფარგლებში შესასწავლ საკითხებთან მიმართებით.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხებსა და სამიზნე ცნებებს*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***სახელმწიფო ენა***

		სასურველია, თუ თითოეული კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმში მიეთითება ყველა სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა სავანმანათლებლო პროცესში
ინდიკატორი N2.3.1.3	*მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა **სასურველია** სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.*
ინდიკატორი N2.3.2.1	*შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში დეტალურად არაა გაწერილი, რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება ან როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით. **სასურველია** მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით.*
ინდიკატორი N2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** *სკოლას აქვს კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადამრიგებლო პროგრამები და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად*

		*ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. **სასურველია** მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.*
ინდიკატორი N2.3.2.3	*შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა*** ***სასურველია** მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება და სხვ. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ გადმოგზავნილი შესაბამისობის გეგმა და თანმხლები დოკუმენტაცია, რის შედეგადაც გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

ინდიკატორი N 3.1.2.3 - გადავიდა სრულ შესაბამისობაში. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ცნობები.

ინდიკატორი N 3.1.2.4 – გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ექიმისა და პედავოგების შტატზე გამოცხადებული ვაკანსია (შესრულების ვადა: 12.07.2025).

ინდიკატორი N 3.4.1.1 – გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დადებითი დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ; ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან გაგზავნილი წერილი სავანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად (შესრულების ვადა: 15.04.25).

ინდიკატორი N 3.5.1.1 – გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან წარდგენილი წერილი სველი წერტილის დამონტაჟებისათვის ნებართვის მოპოვების თაობაზე (შესრულების ვადა: 05.07.2025).

კომპონენტი 2.2 - ხარვეზს განაპირობებდა დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საათების შეთავსება დაწყებითი განათლების პედაგოგების მიერ, ისე რომ მათ არ უდასტურდებოდათ შესაბამისი საგნების სწავლების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილი პირობა 2025 წლის 1 აგვისტომდე სკოლის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფის თაობაზე და კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

   სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ.

   სკოლის მისიაა: აღზარდოს უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს ჰარმონიულად გარესამყაროში და გარესამყაროსთან ერთად, გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე, აქვს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული მაღალი სამოქალაქო ცნობიერება.

   სკოლის ხედვაა: მისიის მისაღწევად შექმნას მუდმივად განახლებადი, ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ეფექტური, უსაფრთხო და პოზიტიურ სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე შეძლებს აკადემიური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, თითოეული ტიპის მსწავლელი შეძლებს მრავალმხრივი და ემოციური ინტელექტის, სასიცოცხლო უნარ ჩვევების განვითარებას. ჰყავდეს მუდმივ

პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო თემი, დაამკვიდროს სკოლის მმართველობაში დემოკრატიული და თანამონაწილეობითი კულტურა.

სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლას აქვს ახლად რეაბილიტირებული შენობა, რომელშიც შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, როგორც ფიზიკური, ისე სოციო-კულტურული კუთხით. სკოლის ფიზიკური გარემო შეესაბამება სკოლის ინკლუზიური განათლების პოლიტიკას, რომელიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის იდენტიფიცირებული დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში. სკოლაში განხორციელებული პროგრამები, პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მისიასა და ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევას; დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სტარტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით. დაწესებულებამ განახორციელა გამოკითხვა, ჩაატარა არა ერთი შეხვედრა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან, დაადგინა მათი მოლოდინები და პრიორიტეტები, გამოიკითხა თუ რა ღირებეულებებს უნდა გადასცემდეს სკოლა მოსწავლეებს და შემდგომ შეიმუშავა მისია და ხედვა საბოლოო სახით. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. ვინაიდან, სასკოლო საზოგადოება თავიდანვე იყო ჩართული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში, მაღალია სკოლის ფილოსოფიის გაზიარების ხარისხიც. ვიზიტის დორს, ინტერვიუირებისა და მსჯელობის პროცესში, არა ერთხელ გამოიკვეთა სკოლის ადმინისტრაციის წევრებისა და პედაგოგების მიერ, სკოლის მისიისა და ღირებულებების გაცნობიერების მაღალი დონე, მომავალი განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ ერთიანი ხედვა და ენთუზიაზმი, ასევე გუნდის ჩართულობა მისიისა და ღირებულებების შესრულებისათვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თვასლაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის ცენტრალურ შესასვლელში. ისინი ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება: ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სოციო-კულტურული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები;
- სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების მიზნით ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის ოქმი;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დამტკიცების ბრძანება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

7. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
8. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
9. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
10. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

   სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს:

- სკოლის მისიის და ხედვის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, გაზიარებას, გადახედვას, განვითარებას და გასაჯაროებას;
- სტრატეგიული და სამომქედო გეგმების შემუშავებას, გაზიარებას და დამტკიცებას;
- სტრატეგილი და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას;
- სტარტეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა და ცვლილების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლამ შეიმუშავა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები.

სკოლის სტრატეგიული გეგმა საინტერესო და ავთენტური დოკუმენტია, რომელიც მოიცავს შესავალ ნაწილს, სასკოლო საზოგადოების (მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები) გამოკითხვას და შედეგებს, დოკუმენტაციის შესწავლისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზს, SWOT ანალიზს, სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ ჩარჩოს, სტარტეგიული მიზნების კალენდარს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას, დანართებს გამოკითვის დეტალური ანალიზით.

სკოლის მიერ გამოკვეთილი 4 სტრატეგიული მიზანი, რომელსაც ეყრდნობა შვიდწლიანი გეგმა, არის:

1. მასწავლებელთა შიდასასკოლო პროფესიული განვითარების მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია (მოიცავს 3 ამოცანას);
2. არაფორმალური განათლების გაძლიერება (მოიცავს 3 ამოცანას);
3. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა (მოიცავს 4 ამოცანას);
4. განათლების ინკლუზია (მოიცავს 3 ამოცანას).

<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

   სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორინეტირებულია მასში გამოკვეთილი ოთხი პრიორიტეტის შესრულებაზე. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

   დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დამტკიცების ბრძანება;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული დოკუმენტი;
- 2023-2030 წლების სტარტეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- SWOT ანალიზი;
- კითხვარების ანალიზი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

   სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში იდენტიფიცირებული საყურადღებო საკითხების ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო სტრატეგიული გეგმისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

   მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების განხორციელების მექანიზმები გაწერილია მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-4 და მე-5 მუხლებში. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დამტკიცების ბრძანება;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული დოკუმენტი;
- 2023-2030 წლების სტარტეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სკოლის სტრუქტურა შედგება სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, მასწავლებლების, ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალის, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტებისა და კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებისგან (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, 8 საგნობრივი კათედრა, მრჩეველთა საბჭო).

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის მიერ 2023 წლის 9 ივნისს დამტკიცებულ სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში, აგრეთვე, პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თუ რა ეკრძალებათ დასაქმებულებს და რისი უფლება აქვთ მათ სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის თანამშრომლებს შესასრულებელი ფუნქციების შესახებ ეცნობებათ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მხარეთა შეთანხმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, სწორედ სკოლის მიერ მათი მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომლებიც სკოლს ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. ფუნქციები გადანაწილებულია თითოეული თანამშრომლის ცოდნის, უნარებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწესებულების მმართველობითი სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება - ე.წ. ორგანიგრამა.

დაწესებულებაში იგრძნობა, რომ თანამშრომლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული არა მარტო საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, არამედ კოლეგების თანამდებობრივი ინსტრუქციებიც, რაც საშუალებას იძლევა სამუშაო პროცესი განხორციელდეს ეფექტურად და ხარვეზების გარეშე. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება და დებულება;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, კადრების მოზიდვისა და შერჩევის, კონკურსის გამოცხადების წესები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და მოტივაცია, და სხვ. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები მოიცავს როგორც მასწავლებლების, ასევე სხვა ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მართვას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტი გულისხმობს სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის, სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის მიერ შემუშვებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებას. სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების სტაბილურად შენარჩუნება, მათი ადაპტაცია, ინტეგრაცია და მოტივაცია სამუშაო გარემოში, ღირებულებებისა და ფასეულობების გაზიარება, თანამშრომელთა შორის კომუნიკაციისა და არაფორმალური ურთიერთობების წახალისება.

პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მოზიდვისა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, დაწესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სსიპ ქალაქ თბილისის N 85 საჯარო სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები).

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შენობის სრული რეაბილიტაციის გამო, დაწესებულება უახლოეს წარსულში იყო ადგილმონაცვლე სკოლა, რაც გულისხმობს სასკოლო დოკუმენტაციის სხვა შენობაში გადატანას და შემდგომ ისევ დაბრუნებას, პერსონალის უდიდესი ნაწილის პირადი საქმეები მოწესრიგებული იყო - საქაღალდეებში წარმოდგენილი იყო საჭირო დოკუმენტაცია.

ვიზიტის დროს, რამდენიმე თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი დანაშაულის არ ქონისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის დირექციის განცხადებით, აღნიშნულ პირებს დაევალებოდათ ცნობების წარდგენა უმოკლეს დროში.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ცნობები, რის შედეგადაც ინდიკატორი გადავიდა სრულ შესაბამისობაში სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ამონაწერით განათლების მართვის საინფორმაციო ბაზიდან დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულ 1 პედაგოგს აქვს მენტორის სტატუსი, ერთს - მაძიებლის, 24 მასწავლებელს - წამყვანის სტატუსი, ხოლო 40 პედაგოგს - უფროსი მასწავლებლის სტატუსი, მათ შორის არის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე 3 სპეც.მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულია 2 მასწავლებელი სტატუსის გარეშე, რომლებთანაც გაფორმებულია დროებითი ხელშეკრულება ვაკანსიის შევსებამდე, აღნიშნულ თანამდებობებზე გამოცხადებულია კონკურსი. სკოლაში ასევე დასაქმებულია 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. ასევე სკოლაში დასაქმებულია 2 შემცვლელი მასწავლებელი. თითოეულ პედაგოგთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშკრულება.

სკოლაში დასაქმებულია ადმინისტრაციული და ტექ.პერსონალი: დირექტორი, 2 დირექტორის მოადგილე, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი (ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მასწავლებელს), 2 ფსიქოლოგი, ექიმი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 4 დარაჯი, 6 დამლაგებელი და მუშა. თანამშრომელთა უმრავლესობის კომპეტენცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციას. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

<u>აღსანიშნავია,</u> <u>რომ დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საათები შეთავსებული აქვთ დაწყებითი განათლების პედაგოგებს, ისე რომ მათ არ უდასტურდებათ შესაბამისი საგნების სწავლების კომპეტენცია.</u>

<u>გარდა ამისა,</u> <u>სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლის ექიმი არ ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს შემდეგ სპეციალობებში:</u>

<u>ა) პედიატრია;</u>

<u>ბ) საოჯახო მედიცინა;</u>

<u>გ) ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი;</u>

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ექიმისა და პედაგოგების შტატზე გამოცხადებული ვაკანსია (შესრულების ვადა: 12.07.2025).

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში არსებული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიები და ჯგუფები მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. სკოლა აღნიშნულს ხელს უწყობს ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით, კერძოდ, თანამშრომლები შეუზღუდავად სარგებლობენ სასკოლო მიზნებისთვის სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსებით, ბიბლიოთეკით, სამასწავლებლოთი და სხვა რესურსებით.

სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმისა და საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. ისინი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული სასკოლო თემის საჭიროებები.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც იკრიბება, აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებასთან, დისციპლინურ კომიტეტში წარმომადგენლის არჩევასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კათედრის წევრები, დირექტორის მოადგილე და ხარისხისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ახდენს განმავითარებელ შეფასებას და აძლევს რეკომენდაციებს. მასწავლებლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, შედეგების გასაუმჯობესებლად ესწრებიან ტრენინგებს, აწყობენ შიდა კონფერენციებს.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სკოლის დირექციას აწვდიან მოსაზრებებს მნიშვნელოვან საკითხებზე. სკოლამ სამუშაო ჯგუფის დონეზე დანერგა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, განხორციელდა შესაბამისი კვლევები და კითხვარები, გამოიკვეთა პრიორიტეტები და შეიქმა სკოლის გნავითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

სკოლაში იგრძნობა, რომ თანამშრომლები პატივს სცემენ ერთმანეთს, უსმენენ და აქტიური კომუნიკაციის დამყარებით იღებენ გუნდურ გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებულთა მუდმივი მოტივაცია. ამისთვის, სკოლა ახორციელებს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და სასკოლო საზოგადოებაში გაზიარების აქტივობებს. ამავე კრიტერიუმის მეხუთე ინდიკატორში აღწერილი სტრუქტურული ერთეულები და მათ სამუშაო შეხვედრები ეფექტური საშუალებაა როგორც შიდა სასკოლო, ისე სკოლის გარეთ მიღებული ცოდნისა და გამოციდლების გასაზიარებლად.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების მექანიზმი; ყველა წარმატებული მცდელობა დაფასებულია მადლობის წერილით ან სიგელით, არსებობს განსაკუთრებული წვლილისა და დამსახურების მქონე პედაგოგების ფულადი პრემიით დაჯილდოების პრაქტიკა. სკოლაში არის სპეციალური სივრცე, სადაც თვალსაჩინოდ არის განთავსებული სასკოლო თემის წარმომადგენლების მიღწევები და ჯილდოები, სერტიფიკატები და მადლობის ბარათები.

სკოლა ასევე მიმართავს საუკეთესო პრაქტიკის გასაჯაროებას სოციალური ქსელის მეშვეობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მასწავლებლის კონკურსის მასალები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან იმპორტირებული თანამშრომლების სია;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- წახლისების ბრძანება;
- ინფორმაციის გაზიარებაზე სოც. ქსელის ფოტოების ბმული;
- ექიმის პირადი საქმე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას. პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, დაწესებულების პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების მოწყობა, გამოკითხვის ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების განხორციელება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, სასწავლო ჯგუფებში გაწევრიანება, მონიტორინგის ფორმები. ამ მეთოდების გამოყენებით ხდება საჭიროებების დადგენა, რომელთა საპასუხოდაც იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

დაწესებულებას შვიდწლიან სტარტეგიულ გეგმაში 4 მიმართულებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოკვეთილი აქვს პერსონალის განვითარება, კერძოდ კი მასწავლებელთა შიდასასკოლო პროფესიული განვიტარების მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია. აღნიშნულ პრიოროტეტს აქვს 4 ამოცანა, რომელთა შესასრულებლად სკოლას გაწერილი აქვს აქტივობები ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

ვინაიდან დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ პერსონალის განვითარებაა, სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. დაწესებულებას ჰყავს 1 მენტორი, 24 წამყვანი და 43 უფროსი მასწავლებელი, რომლებიც ზრუნავენ სტატუსის გაუმჯობესებაზე და ამისათვის აქვთ სკოლის სრული მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსისტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების ხელშეწყობაში.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალი თანამშრომლის მიღებისას სკოლაში სოციალიზაციის პირობებს. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ახალ თანამშრომელთა სკოლაში ადაპტაციის წესი. ამ პროცესში, სკოლის წარმომადგენლები მაქსიმალურად უჭერენ მხარს ახალ თანამშრომელს, აცნობენ სასკოლო კულტურას, წესებს და ტრადიციებს, უქმნიან ყველა პირობას თვითრეალიზებისა და პროფესიული წინსვლისთვის, აძლევენ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ამ მიმართულებით, სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. სკოლაში დამკვიდებული წესი ეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს სკოლის ღირებულ გუნდის წევრად და არ შეექმნას სამუშაოსთან ინტეგრაციის პრობლემა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლა მაქსიმალურად უჭერს მხარს თანამშრომელთა ინიციატივების განხორციელებას. საინტერესო იდეები და წამოწყებები იკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

მაგალითად, დაწესებულების ყველა პედაგოგი გადამზადებულია ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. ადმინისტრაციის წევრები კი რეგულარულად ესწრებიან მათთვის საჭირო ტრენინგებსა და პროფესიული გადამზადების კურსებს. პედაგოგებისა და თვითმმართველობის საერთო ინიციატივაა შიდა და გარე სივრცეების კეთილმოწყობა და ტექნიკით მაქსიმალურად აღჭურვა, რასაც სკოლა სრულად უჭერს მხარს. მაგალითად, სკოლის ფოეში მოწყობილია მყუდრო კუთხე ორი კომპიუტერით, რომლებიც განკუთვნილია მშობლებისათვის. სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს აღნიშნული სივრცის სრულად აღჭურვას პრინტერით და სხვა მოწყობილობებით, რომ მშობლისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იყოს თანამედროვე ტექნოლოგიებით სარგებლობა. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ახალ თანამშრომელთა სკოლაში ადაპტაციის წესი;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის ოქმები;
- ტრენინგებში მასწავლებლების მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- პერსონალის გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისის უზრუნველყოფის მექანიზი, რომლის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. ყოველივე ამისათვის სკოლამ მექანიზმად გაითვალისწინა **დემინგის ციკლის სისტემა,** ე.წ. PDCA მიდგომა:

P – plan - დაგეგმე; D – do - განახორციელე; C – check - შეამოწმე; A – act - მოახდინე რეაგირება (განავითარე).

აღნიშნულ ციკლის გამოყენება, რომელიც დაწესებულებას სხვადასხვა პროცედურულ დოკუმენტში აქვს გაწერილი (მაგალითად: სასკოლო სასწავლო გეგმა, შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდგოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია), საშუალებას აძლევს მას განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანების არარსებობის შემთხვევაში, დასახოს არსებული ვითარების შენარჩუნების მექანიზმები. ამ პროცესის ნათელი მაგალითია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მუშაობა, რომლებიც დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებლებს აძლევენ რჩევებს, აფასებენ მათ განმავითარებელი შეფასებით, ამოწმებენ რამდენად იქნა გათვალისწინებული

გაცემული რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში, იღებენ დამატებით ზომებს როგორებიცაა ტრენინგებში ჩართვა, დამატებითი მუშაობა კათედრებზე, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, სასწავლო ჯგუფების შექმნა და სხვა.

სკოლა ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სხვადასხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით პროცესების მართვას, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამშრომელთა ადაპტაციის წესი, მოსწავლის ადაპტაციის წესი, სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სხვა წესები. ყოველივე აღნიშნულით ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს და მათზე დაყრდნობით წარმართავენ სასწავლო პროცესს. აღნიშნული მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, მაგალითად, როგორიცაა მასწავლებლებთან ყოველკვირეული მიზნობრივი სამუშაო შეხვედრების პრაქტიკის დამტკვიდრება. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. გაცნობიერებულია, რომ სასწავლო პროცესის ყოველდღიური მართვა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და შენარჩუნება, მოსწავლეებზე ზრუნვა არის სკოლისათვის უმთავრესი მიზანი. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის მიერ დამტკიცებული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და მშობელთა მიერ საჩივრის

წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სკოლაში საჩივრების განმხილველი ორგანოა სამეურვეო საბჭო.**<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლეთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით ადმინისტარციისა და დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/მუშაობის წესი;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

დაწესებულება აქტიურად წაახალისებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო პროცესებში. სასკოლო თემის ინფორმირება საგანმანთლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ, მათთან პორიქტიული კომუნიკაცია და უკუკავშირის მიღება სკოლაში უწყვეტად და ეფექტურად მიმდინარეობს.

ამისთვის სკოლა ორგანიზებას უწევს მშობელთა კრებებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოკითხვებს, კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში, ონლაინ პლატფორმები). კანონმდებლობის ფარგლებში გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების მონაწილეობით იქმნება სკოლის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები. ხდება ინიციატივების გენერირება და ერთობლივი დაგეგმვა/განხორციელება.

სასკოლო საზოგადოების ეფექტურად ჩართვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი; ასევე - მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია). **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო) მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამ მიზნით, სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. სამეურვეო საბჭოში ყოფნით ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამაებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება/წესი;
- კითხვარების ანალიზი, SWOT ანალიზი;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევაზე სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან**

შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც ზედამხედველობენ ფიზიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს N 85 საჯარო სკოლაში წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

სკოლას გაგზავნილი აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლაში შექმნილი იყო საგანგებო შტაბი, თუმცა სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვია მიზნით.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დადებითი დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ; ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად (შესრულების ვადა: 15.04.25).

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი და დასაქმებულია ექიმი, რომელიც მომსახურებას უწევს სკოლის მოსწავლეებსა და დასაქმებულებს.

დათვალიერებით დადგინდა, რომ კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლის ექიმს მოწესრიგებული აქვს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, აწარმოებს მედიკამენტების აღრიცხვას, ახორციელებს კვებითი პუნქტის მონიტორინგს. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც სკოლის მანდატურებს ეხმარებიან საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში. ამ მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კლასების დამრიგებლები. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამ მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე. სკოლას განსზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ნივთების ჩამონათვალს, რომლით სკოლაში გამოცხადებაც იკრძალება. სკოლაში დადგენილია მასწავლებლების მორიგების განრიგი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებითა და სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ სკოლა აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ჯანსაღი სასკოლო კლიმატი არის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარი, რისთვისაც დაწესებულებაში არა ერთი შეხვედრა, სემინარი, სამსჯელო საკითხების განხილვა მოეწყო. სკოლაში სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. მიმდინარეობს ფილმების ჩვენება-განხილვა, ანიმაციური ვიდეო-რგოლების ჩვენება-ანალიზი სპეციალისტების რეკომენდაციით. ეწყობა შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება მოზარდობის ასაკისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, ფსიქო-ემოციურ განწყობებსა და გამოწვევებზე. სკოლაში დასაქმებულია ორი კვალიფიციური ფსიქოლოგი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაში. გარდა ამისა, სკოლაში საპილოტე პროგრამის სახით, მუშაობს სოციალური მუშაკი.

ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა, გასაუბრებოდნენ სოციალურ მუშაკს, რომელმაც წარმოადგინა მომდევნო წლის სამუშაო გეგმა, ასევე ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რაც სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების კუთხით. აღსანიშნავია, რომ იგრძნობა სკოლის სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგების, დამრიგებლებისა და სკოლის პერსონალის შეთანხმებული მუშაობა, ყველა რგოლი ჩართულია მოსწავლეზე ორიენტირებული სერვისების განხორციელებაში, რაც მოსწავლეთა ჯანსაღი განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნის საწინდარია. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლაში დასაქებულია 6 დამლაგებელი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში. დაწესებულებაში ეწყობა დასუფთავების აქციები, ექიმი ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს ჰიგიენისა და სისუფთავის დაცვის აუცილებლობაზე.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც დაკონკრეტებულია პირები, რომლებსაც წვდომა აქვთ პერსონალურ მონაცემებზე და საზღვრული თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული

პირების მიერ. თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია თუ რა ინფორმაციის დამუშავებაზე აცხადებს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას.

ვიზიტის დროს, დაწესებულებას საქმისმწარმოებელი ჰყავდა განსაზღვრული პირად, რომელსაც ევალებოდა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის დაცვის მონიტორინგი, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის მიზანშეწონილი. ექსპერტთა რჩევით, დაწესებულებამ ბათილად სცნო აღნიშნული ბრძანება.

დაწესებულებას მიეცა რჩევა, განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერებს, სადაც ინახება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები, ადევს პაროლი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდ იმ თანამშრომელს, რომლის სამუშაოდაც არის განკუთვნილი. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.** ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

<u>ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე;

- N 85 საჯარო სკოლაში წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შინაგანაწესი;
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 10629.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 3490.44 კვ.მ. სკოლის შენობა ოთხ სართულიანია, სკოლას ასევე აქვს 0 სართული (ნახევარსარდაფი), რომელშიც განთავსებულია კვების ობიექტი და სხვა დამხმარე სივრცეები. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც იმართება ეზოში კაპიტალურად მოწყობილი საქვაბიდან (21.07 კვ.მ.). სკოლის შენობაში განთავსებულია დირექციის კაბინეტები, კანცელარია და ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, საკლასო ოთახები (ბუნებრივი განათებით), სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი, სამეურნეო სათავსოები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი გასახდელებით, სააქტო დარბაზი და საპირფარეშოები. საპირფარეშოები (მათ შორის ადაპტირებული სველი წერიტილები) განთავსებულია ყველა სართულზე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი.

სკოლის ეზოში მოწყობილია 2 შემოსაზღვრული, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სპორტული მოედანი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სააქტო დარბაზში არის სკამები, მუსიკალური ინსტრუმენტი (ფორტეპიანო) და სცენა. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი. სკოლა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით და პროექტორებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება ვარგის მდგომარეობაში არსებული მინიმუმ 1300 ინდივიდუალური მერხი - სასწავლო პროცესი ხორციელდება 2 ცვლაში. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაჩინოებებით და სხვა საჭირო ნივთებით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია სპეციალური სავენტილაციო სისტემა (გამწოვი აგრეგატითა და სუფთა ჰაერის შემომშვები სისტემით), რომელიც საშუალებას იძლევა კაბინეტში განხორციელდეს სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები.

<u>ვიზიტის დროს, ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული სველი წერტილი. დირექციის განცხადებით, წყლის მისაყვანად და ნიჟარის დასამონტაჟებლად, სამუშაოები დაიწყებოდა უახლოეს მომავალში.</u>

სხვა მხრივ, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან წარდგენილი წერილი სველი წერტილის დამონტაჟებისათვის ნებართვის მოპოვების თაობაზე (შესრულების ვადა: 05.07.2025).

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების მიერ. ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესების შესახებ.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს.

სკოლაში არსებული რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და რესურსით და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ შეუზღუდავად. სსსმ მოსწავლეები სარგებლობენ რესურსოთახით, ყევლა საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით.

გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების გადაწყვეტილებით, სკოლის ფოეში მოწყობილია მყუდრო კუთხე ორი კომპიუტერით, რომლებიც განკუთვნილია მშობლებისათვის. სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს აღნიშნული სივრცის სრულად აღჭურვას პრინტერით და სხვა მოწყობილობებით, რომ მშობლისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იყოს თანამედროვე ტექნოლოგიებით სარგებლობა.

საკლასო ოთახები ისე არის მოწყობილი, რომ თითოეულთან დამონტაჟებულია გამჭვირვალე ფანჯრისა და ხის კონსტრუქცია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მოსასვენებლი კუთხის, მცირე საგამოფენო სივრცის ან ვიტრინის სახით.

ასევე, ნახევარსარდაფში არის მყუდრო სივრცე, სადაც იგეგმება მინი კინო-თეატრის მოწყობა.

ამგვარად, სკოლის მატერიალური რესურსი ეფექტურად არის ათვისებული და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლაში მოწყობილია ბიბლიოთეკა და დასაქმებულია ბიბლიოთეკარი (ერთ-ერთ პედაგოგს ბრძანებით აქვს დაკისრებულიბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობანი). სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და თვალსაჩინოდ აქვს გამოკრული ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს მრავალფეროვან ლიტერატურას და სასკოლო სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნებით სარგებლობის აღრიცხვას ელექტრონულ ფაილში. სკოლის ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია კომპიუტერი და პრინტერი.

მოსწავლეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე იმსჯელონ სკოლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. მოსწავლეებს შესაბამისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში ეხმარება სკოლის ბიბლიოთეკარი.

საბიბლიოთეკო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს ცდილობს შეიქმნას ინკლუზიური გარემო როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, ასევე შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფით. სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია თანამედროვე სტანდარტებისა და შესაბამისი დახრილობის მქონე, მოაჯირიანი პანდუსი. სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი ყველა სართულზე; დამონტაჟებულია ლიფტი, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო სივრცით სარგებლობას. რესურს ოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო ხელმისაწვდომია სსსმ

მოსწავლეთათვის. სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის საჭირო ყველა ტიპის რესურსის შევსებასა და განახლებაზე. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

დაწესებულების ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სკოლა ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. კერძოდ, სკოლას აქვს დიდი, კეთილმოწყობილი ეზო, რომელშიც დამონტაჟებულია მოსასვენებელი სკამები. ეზოში სასწავლო წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები, საქველმოქმედო აქციები. ასევე იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები.

დაწესებულებას ასევე აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, შიდა სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. შენობაში მოწყობილია სარეკრეაციო სივრცეები. იგეგმება სკოლის დერეფნების საგამოფენო სივრცეებად გამოყენება.

ამგვარად, მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს აქვთ საშუალება განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემის თაობაზე;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლა ფლობს კომპიუტერულ ლაბორატორიას რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით. სკოლას აქვს როგორც პერსონალური, ისე პორტატული კომპიუტერები. სკოლა ფლობს პროექტორებს, პრინტერებს, სკანერებს. მათ შორის სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელსაც აქტიურად იყენებენ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც.

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. კომპიუტერული ლაბორატორია აღწურვილია 23 ლეპტოპით, 8 პერსონალური კომპიუტერით, 3 პროექტორით, პროექტორის ეკრანით და 3 მულტიფუნქციური პრინტერით. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას.

სკოლას ჰყავს კვალიფიციური საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლაში ხელმისაწვდომია ელექტრონული რესურსებიც. ხელმისაწვდომია ელექტრონული რესურსებიც.სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა რომლის მიხედვითაც მოეწყობა სამუშაო სივრცეები, სადაც მასწვლებლები იმუშავებენ წინასწარ შეთანხმებული განრიგით. ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები. აღნიშნული წესების თანახმად, კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე; მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებ-გვერდით; მომხმარებელი უფლებამოსილია იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე; დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის და ასე შემდეგ.

ბიბლიოთეკის სივრცეში ბიბლიოთეკარი, ხოლო კომპიუტერულ ლაბორატორიაში - საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფენ კომპიუტერულ ტექნიკასთან მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაშვებას და უსაფრთხოდ გამოყენებას. მომხმარებლები ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდიან საინფორმაციო მენეჯერს, რომელიც ეხმარება მათ. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები;
- ინვენტარიზაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის N951 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის'' შესაბამისად, სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და თუ მოქალაქეზე.

სკოლას აქვს კანცელარია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. მას მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას. სკოლის საქმისწარმოების წესში დეტალურადაა გსანზღვრული თუ როგორ ხდება ამა თუ იმ დოკუმენტის დამუშავება.

საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით.

eflow-ს სისტემის გარდა, გარე კომუნიკაციისთვის სკოლა ასევე იყენებს საქართველოს ფოსტის მომსახურებას. საქართველოს ფოსტით დოკუმენტის გაგზავნამდე იგი იქმნება eflow-ს სისტემაში და მხოლოდ შემდეგ ხდება ამობეჭდილი დოკუმენტის ფოსტით გაგზავნა. საფოსტო გზავნილის სახით მატერიალურად შემოსული დოკუმენტი კი eflow-ს სისტემაში რეგისტრირდება ელექტრონულად, როგორც შემოსული დოკუმენტი. ოფიციალური ორგანოებიდან სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული წერილი ასევე რეგისტრირდება eflow-ს სისტემაში. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია, ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და ასე შემდეგ.

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან კავშირით. eSchool-ის ელექტრონულ ბაზაში ასევე შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ, ამასტანავე იქივე ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილების რეგისტრაცია.

eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება.

ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eflow-ს ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიმართონ სამსახურეობრივი ბარათებით და განცხადებებით.

პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge. ყველა პირი, რომელსაც უწევს ჩამოთვლილ პროგრამებში მუშაობა, უზრუნველყოფილია ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერებით. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი.

სკოლა აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სკოლა ყოველწიურად წარადგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშის სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ.

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით ხელშეკრულების შესრულებიდან 10 დღის ვადაში (თუ შესყიდვების გეგმა აღემატება 50000 ლარს) ან არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა (თუ შესყიდვების გეგმა არ აღემატება 50000 ლარს).

სკოლა აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დადგენილ ვადებში. მაგალითად, იჯარის ფორმით ფართის გადაცემისას. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- eSchool.emis.ge-ს, Eflow-ს, procurement.gov.ge -ს, ელ.ფოსტის მისამართი: tbilisi36@mes.gov.ge
- eSchool.emis.ge-ზე სკოლის პროფილი;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- საჯარო ინფორმაციის ანგარიშზე წერილები;
- იჯარის წერილები; ფართის იჯარით გაცემაზე წერილები.
- 10 დეკემბრის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმინობის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი და ფეისბუქ გვერდი, რომლებიც წარმოადგენს სკოლის საკომუნიკაციო სივრცეს, სადაც მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების, სასკოლო აქტიური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია სკოლას ასევე მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე.

სკოლას დამტკიცებული აქვს მშობლეთან კომუნიკაციის დებულება, რომელშიც გაწერილია სკოლის და მშობლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი და კომუნიკაციის ფორმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. აღნიშნული ნფორმაციის შეგროვებას ახდენს სკოლის ადმინისტრაცია და მას შემდეგ რაც გადამოწმდება ინფორმაციის უტყუარობა და სანდოობა, ინფორმაციას სოციალურ ქსელში აქვეყნებს საინფორმაციო მენეჯერი. სკოლის სოციალურ ქსელში ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული პროექტების და ღონისძიებების, წარმატებისა და მიღწევების შესახებ. სკოლის განახლებულ ვებ-გვერდზე კი განთავსებულია დაწესებულების მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესისა და სკოლის ფილოსოფიის შესახებ უტყუარი ინფორმაცია. სკოლის საკომუნიკაციო არხებს ამ ეტაპზე წარმოადგენს სოციალური ქსელი (facebook), სხვადსხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, რომელზეც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია. სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაცია თავს იყრის საინფორმაციო მენეჯერთან და საქმისმწარმოებელთან, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას სკოლის დირექციას. მუშავდება შემოსული ინფორმაცია, მოწმდება ინფორმაციის სანდოობა და საჭიროებისამებრ ხდება სათანადო რეაგირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;** ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

სკოლამ სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირი შეიძლება მიიღოს დამრიგებლების მშობლებთან კომუნიკაციის მეშვეობით, კრებების მეშვეობით, facebook ჯუფებიდან, ანონიმური კითხვარებიდან, სამუშაო შეხვედრებიდან და სხვა საშუალებით. შესაბამისი საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციას სკოლა იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლაში სწავლების ენა არის ქართული. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/113?schoolName რომელზეც განთავსებულია აუცილებელი ინფორმაცია, როგორიცაა: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელის ბმული;
- სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/113?schoolName
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ფინანსური დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭირო ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლას აქვს ბიუჯეტი რომელსაც ამტკიცებს კანონმდებლობის შესაბამისად, პერიოდულად ახორციელებს ბიუჯეტის მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები და ყოველი წლის დეკემბერში სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ანგარიშის მოსმენაზე).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა სხვადასხვა ზომებით, რომლებიც სკოლაში მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის გარანტიას წარმოადგენს. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად, სკოლის მიერ შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად. საკანონმდებლო რეგულაციებით დაცულია მოსწავლეთა უფლებები. უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით, სამეურვეო საბჭოს აქტიური ფუნქციონირებითა და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის გზით. სამეურვეო საბჭოსგან სკოლა იღებს რეკომენდაციებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე და განიხილავს სკოლის წინაშე არსებულ გამოწვევებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას, როგორიცაა მაგალითად დისციპლინირებული გარემო, უსაფრთხო გარემო. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო

წესით დამუშავებასა და დაცვას. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლამ შეიმუშავა და მშობლებს გააცნო მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია უფლებები და ურთიერთობის ფორმები. ყველა მოსწავლის მშობელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც ასევე გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

სკოლის მოსწავლეები საბაზო და საშუალო საფეხურზე თანაბრად სარგებლობენ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლებით. შედეგად, სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს არჩეული ჰყავდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები, რომლებიც ახორციელებდნენ აქტივობებს თავიანთი ინიციატივით.

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო და უზრუნველყოფილია დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობა, როგორც სსსმ მოსწავლეთათვის, ასევე დაბალი აკადემიური მოსწარების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მიდგომებით, რაც ასახულია სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებში. ინკლუზიური განთლება გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით.

სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა მიღების, სტატუსის აღდგენის, უცხოეთში მიღებული განაღლების აღაირების წესები, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა და განათლების უფლების რეალიზაცია. აღნიშნულ წესში ასევე გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები და მოსწავლის უფლებები და მოვალეობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის მიერ დამრიგებლების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასის საათის განმავლობაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს, ბავშვთა უფლებების კონვენციას და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს, კლასების დამრიგებლების რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით.

დამრიგებელი კლასის სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს უფლებათა დაცვის კონვენციას, რომელიც შეიმუშავა გაერთიანებული ერების სორგანიზაციან და მრავალმა ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება.

სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას. მათ შორის სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის პორტალზე.

სრულწლოვან მოსწავლეს ან არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს.

სადამრიგებლო საათის/კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. ამისათვის, სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრების განხილვის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

სკოლა ყველა ახალ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს/ მშობელს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე აცნობს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლებს. სკოლის მოსწავლეს უფლება აქვს მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში, წამოაყენოს წინადადებები, რაც სკოლის მხრიდან ყოველთვის მხარდაჭერილია. არაერთი პროექტი იქნა მხარდაჭერილი სკოლის დირექციის მხრიდან, რომელიც მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელდა. ამის ერთ-ერთ დასტურია სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ განხორციელებული პროექტი „ არა ბულინგს და დისკრიმინაციას“, რომელიც სკოლის ჯანსაღი გარემოს ხელშესაწყობად ჩატარდა. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს. სკოლასა და მშობელს შორის ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და ემსახურება მოსწავლის ხარისხისნი განათლების მიღებას. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/წესი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საინფორმაციო დაფა;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოებზე;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. აღნიშნულ წესში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის პირველ კლასში მიღების წესები და ეტაპები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, სხვადასხვა

კლასში მოსწავლის მიღების წესი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის პროცედურა და სტატუსის შეჩერება აღდგენის პირობები. საჯარო ინფორმაცია სკოლის თემისთვის განთავსებულია სკოლის პორტალზე, ინფორმაციის მიწოდება ასევე ხორციელდება დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის საქმისმწარმოებლის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვისა და შეზღუდულ ვადაში მობილობის განხორციელების შესაძლებლობის არსებობის შესახებ.

კლასის დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას, სოციალური ქსელის მეშვეობით და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს ასევე აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებ. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;** ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, მოსწავლეთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. სკოლა გამოსცემს შესაბამის ბრძანებას მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ. საქართველოს განათლების, მიეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების მიხედვით დადგენილ ვადებში და შესაბამისი პროცედურებით ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ გამოცებული შესაბამისი ბრძანებები. მოსწავლეთა ჩარიცხვას არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი. ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების შესაბამისად, მოსწავლეები სარგებლობენ მობილობის უფლებით. სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის საქმისმწარმოებლის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ.

სკოლის მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე მობილობის პროცესის განხორციელებისას ან მხოლოდ საშუალო საფეხურის დაძლევის შემდეგ.**<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), რის შესახებაც კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. საინფორმაციო შეხვედრები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ასევე, სკოლის და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ. კომუნიკაციის კუთხით, აქტიურად გამოიყენება სოც.ქსელები, დახურული ჯგუფები და სხვა ონლაინ პლატფორმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას ასევე აწვდის კლასების დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას.

სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა ზემოთაღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალური ქსელსა და საჯარო ინფორმაციის გამოსაქვეყნებელ დაფაზე.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- ექსტერნის გამოცდის საფუძველზე ჩარიცხვის და კლასის/საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ან კლასში დატოვების შესახებ;
- მშობელთა კრების ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობაზე და სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებაზე;
- წრეების შექმნის ბრძანებები;
- წრეებში მიღებაზე მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- კლუბების შექმნის ოქმები და მოსწავლეთა კლუბებში აქტივობის ამსახველი დოკუმენტები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, თუმცა განსაკუთრებული როლი მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს აკისრიათ. მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში მათი ჩართულობით იქმნება მზრუნველი გარემო, რაც წინაპირობაა სკოლაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. სკოლა განსაკუთრებულად ემზადება პირველკლასელთა სკოლაში მიღებისათვის. სწავლის დაწყებიდან დაწყებითი კლასის დამრიგებელი ეტაპობრივად აცნობს პირველ კლასელ მოსწავლეებს სასკოლო გარემოს, ასწავლის გადაადგილების წესებს, რაც ეხმარება მოსწავლეს ნელ-ნელა გახდეს დამოუკიდებელი და თავად ორიენტირდეს სასკოლო სივრცეში.

სხვა სკოლიდან მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, დამრიგებელს აქვს განსაკურებული როლი, როემლიც ამზადებს მიმღებ კლასს მოსწავლის დასახვედრად; ასევე, შეისწავლის მოსწავლის ხასიათს და ინტერესებს, ეხმარება მას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და სასკოლო თემთანინტეგრაციაში.

ადაპტაციის წესით განსაზღვრულია სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

კლასის დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, კერძოდ, დამრიგებლები ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს წარუდგენს თანაკლასელებს და

აცნობს საგნის მასწავლებლებს. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. აცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს. დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის და ეხმარება მოსწავლეს გაწევრიანდეს კლუბებში, წრეებში.

სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში პირველკლასელთათვის ეწყობა ღია კარის დღეები, რა დროსაც მოსწავლეები და მშობლები ეცნობიან ერთმანეთს, ათვალიერებენ სკოლას, სასწავლო გარემოს, ეცნობიან სკოლის ისტორიასა და დამკვიდრებულ წესებს. პირველ კლასში ჩარიცხული მოსავლეების ადაპტაციის მიზნით ეწყობა საზეიმო მიღება, ხოლო დამრიგებლები საკლასო ოთახს აწყობენ საზეიმოდ, მერხებზე ახვედრებენ სამახსოვრო მისალოც ბარათებს. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის ან სსსმ სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, სკოლა ორგანიზებას უწევს მოსწავლისა და მშობლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან შეხვედრას, აცნობს მას კლასის სხვა მოსწავლეებს. მშობელს სკოლა ინფორმაციას აწვდის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრინციპებზე. სკოლა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღებას სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით. **<u>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

